პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 1942 წ. № 227 (6543). ფასი 15 კაპ.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანები

ჩვენი სამშობლოსათვის ამ მრისხანე დღეებში საბჭოთა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოები მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს ასრულებენ. ისინი უმთავრესად მუშაობენ სპეციალურ დაკვეთებზე, მუშაობენ საომარი ვითარების შესაბამისად. მიმდინარე წლის რვა თვის დავალება მათ ფრონტის შეკვეთების დარგში წარმატებით გაანაღდეს. აღნიშნულ პერიოდში მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა სახელოვნად შეასრულეს საწარმოო გეგმები და სტახანოვური მუშაობის მაგალითები გვიჩვენეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და აგვისტოს დავალებები შეასრულეს თბილისის პირველმა და მეექვსე სამკერვალო ფაბრიკებმა, საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკამ“, სასარაჯო-საუნაგირო ფაბრიკამ, ჯაგრის ქარხანამ, ქუთაისის „ტყავკომბინატმა“, შუშის ქარხანამ და სხვ. უფრო მეტი ნაყოფიერებით მუშაობენ ისინი სექტემბერში. განსაკუთრებით მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ილიჩის სახელობის № 70 ლენინის ორდენოსანი ქარხნის მუშაკთა მოწოდებამ ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისათვის წინასაოქტომბრო შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ თბილისის პირველმა და მეექვსე ფაბრიკებმა საგრძნობი გადამეტებით შეასრულეს სექტემბრის ორი დეკადის საწარმოო გეგმები.

ტყავფეხსაცმლის საწარმოებმა დიდი მუშაობა გასწიეს ტყავბადალის გამონახვის საქმეში. ბევრ მასალას, რომელსაც წინათ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან ღებულობდნენ, ახლა ადგილზე ამზადებენ. მაგალითად, ტყავის დასამუშავებლად ამზადებენ სულფატ-ცელულოზის ექსტრაქტს, რაც წელიწადში ნახევარი მილიონი მანეთის ეკონომიას იძლევა. საგრძნობი ეკონომია აქვთ მიღებული აგრეთვე ფეხსაცმლის საპირე და საძირე ტყავის მომჭირნეობით ხარჯვაში.

რიტმიული, ორგანიზებული, სტახანოვური მუშაობის მაგალითს იძლევა სასარაჯო-საუნაგირო ფაბრიკის კოლექტივი, რომლის დირექტორია თ. კინწურაშვილი. ფაბრიკამ გასული რვა თვის მანძილზე ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 293.300 მანეთის პროდუქცია 1926-27 წლების უცვლელ ფასებში. ამ ფაბრიკაში არ არის არც ერთი მუშა, რომელიც ნორმას არ ასრულებდეს, სტახანოველები კი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ ნორმებს. ამის შედეგია, რომ მთლიანად ფაბრიკამ მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა აგვისტოს თვისა და სექტემბრის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმები.

მაგრამ ზოგიერთი ფაბრიკა-ქარხანა აგვისტოში ჩამორჩა, ვერ შეასრულა სექტემბრის ორი დეკადის საწარმოო დავალებაც. თბილისის ფეხსაცმლის № 3 ფაბრიკა (დირექტორი ი. ხუხუნაიშვილი) ჩამორჩენას ობიექტური მიზეზებით ხსნის და არ ღებულობს საჭირო ზომებს ყოველმხრივ გამოიყენოს ადგილობრივი ძალები და რესურსები, მზრუნველობით აღზარდოს ახალი კადრები.

სამშობლო, ფრონტი მოითხოვს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას. პროდუქციის ხარისხს ბევრ ფაბრიკა-ქარხანაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ეს კარგია. მაგრამ ზოგან ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. ამის მაგალითებს ვხვდებით თბილისის მე-2 ფეხსაცმლის ფაბრიკაში (დირექტორი ამხ. იაშვილი), რომელიც, გარდა იმისა, რომ გეგმას ვერ ასრულებს, დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებს. შეხვდებით ამ ფაბრიკიდან გამოშვებულ ზოგიერთ ფეხსაცმელს, რომელსაც რანტი თანაბრად არა აქვს მოკერებული, ლანჩაზე გვირისტი უსწორმასწოროდ აქვს გავლებული და სხვ.

საჭირო ზრუნვას პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის არც ტყავის პირველ და მეორე ქარხნებში იჩენენ. აქ წუნმდებლები არ დგანან მოწოდების სიმაღლეზე. საჭიროა ღრმად შევიგნოთ, რომ საწარმოო გეგმები უნდა შესრულდეს არა მარტო რაოდენობრივად, არამედ აუცილებლად ხარისხობრივადაც. ამის მიხედვით უნდა შეფასდეს საწარმოთა დირექტორების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მუშაობა.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და მისმა დარგობრივმა სამმართველოებმა კიდევ უფრო მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ მათს სისტემაში შემავალ ფაბრიკა-ქარხნებს საწარმოო დავალებათა შესრულებაში. კომისარიატის მომარაგება-გასაღების სამმართველომ, რომელიც დღემდე არასაკმაო მოქნილობას იჩენს საწარმოების ნედლეულით დროზე მომარაგების საქმეში, გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა.

ჩვენს ქვეყანას თავს დასტრიალებს სერიოზული საფრთხე. გამხეცებული ჰიტლერელთა ურდოები, მიუხედავად კოლოსალური ზარალისა, რასაც მას ჩვენი მამაცი წითელი არმიის ნაწილები აყენებენ, წინ მოძვრებიან. სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს ვოლგასთან და კავკასიონის მთების კალთებთან. ჩვენი სამშობლოსათვის სწორედ ამ მრისხანე ჟამს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა მრავალრიცხოვანმა არმიამ—პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა კიდევ უფრო მეტი სიმტკიცე, ორგანიზებულობა და პატრიოტული თავდადება უნდა გამოიჩინონ იმ საპატიო დავალებათა შესრულებაში, რასაც მათ სოციალისტური სამშობლო, ფრონტი აკისრებთ.

ფაბრიკა-ქარხნების სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელთა და მთელი კოლექტივების საბრძოლო ამოცანაა — მაქსიმალურად გამოიყენონ ნედლეულის ადგილობრივი რესურსები, გასწიონ მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომია, განამტკიცონ რკინისებური შრომის დისციპლინა, იბრძოლონ პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, მუშათა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, რათა გამოუშვან მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია, რათა წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა ბოლშევიკურად შესრულებით ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავს.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკებო, ზურგში გმირული შრომით შეუპოვრად სჭედეთ ვერაგ მტერზე—გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვება!

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა ბ-ნი უენდელ უილკი მიიღო

23 სექტემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თანდასწრებით მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ბ-ნი უენდელ უილკი.

საუბარი დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

გუშინ, 23 სექტემბერს, მთავრობის სასახლის დიდ დარბაზში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. სტურუამ სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა საქართველოს სს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის, „საქნავთის“, სამედიცინო და საფინანსო დარგებისა და შრომითი რეზერვების სამმართველოს მუშაკებს, რომლებიც მიმდინარე წელს დაჯილდოებულ იქნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

ამხ. გ. სტურუამ პირველად სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა ტყვარჩელის და ტყიბულის ქვანახშირის ტრესტების მუშაკებს.

ლენინის ორდენი მიიღეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მნგრეველმა ამხ. ა. პ. აიბამ და ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის მნგრეველმა — მებიგემ ამხ. ა. ს. კასრაძემ.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტიდან — ამხ. ხ. ს. გრინმა, ი. პ. ილიუშინმა, ი. ე. იაკოვლევმა; ტყიბულქვანახშირის ტრესტიდან — ამხ. შ. რ. ჩიტიძემ.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტიდან — ამხ. ვ. გ. ახალაიას, ა. ქ. დოლბაიას და პ. ზ. ზვერევიჩს.

გარდა ამისა, 6 ამხანაგს გადაეცა მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ და 4 ამხანაგს—მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“.

შემდეგ ამხ. გ. სტურუამ ორდენები და მედლები გადასცა „საქნავთის“ ტრესტის მუშაკებს. შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა მირზაანის სარეწაოების უფროსს ამხ. გ. ქ. სილაგაძეს, „საპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცა ამხ. ს. ვ. კოჩიევს, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ ამხ. ვ. ქ. აბესაძეს და ვ. პ. მაკაგონოვს.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი მიიღეს სამედიცინო დარგიდან — პროფესორმა ქირურგმა გ. მ. მუხაძემ და მ. დ. ფურცელაძემ.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ გადაეცა საფინანსო დარგის მუშაკებს — ამხ. ი. რ. კალატოზიშვილს, ა. ე. ფირაძეს და ვ. გ. ბუჩუკურს, ხოლო მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — ამხ. ნ. ქ. კანდელაკს და ა. ნ. ჩხაიძეს.

მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ გადაეცა შრომითი რეზერვების სამმართველოს სახელოსნოების მუშაკებს გ. მ. ქავთარაძეს და ვ. თ. ჭანკვეტაძეს.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. გ. სტურუამ მიულოცა დაჯილდოებულ ამხანაგებს და უსურვა მათ შრომის ფრონტზე თავდადებული შრომით კიდევ უფრო მეტად შეუწყონ ხელი ჩვენი ქვეყნის ზურგის განმტკიცებას, დაუღალავად იმუშაონ ფრონტის დასახმარებლად, გმირი წითელი არმიისათვის, რათა დავაჩქაროთ ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის სრული განადგურება.

ვორონეჟის რაიონში

გერმანელთა კონტრიერიშები მოგერიებულია

მოქმედი არმია, 23 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ვორონეჟის სამხრეთით მტერმა ძლიერი კონტრიერიშები მოიტანა, იგი ცდილობდა დაკარგული პოზიციები დაებრუნებინა. ფაშისტებმა შეტევაზე გამოუშვეს 4 პოლკამდე ქვეითი ჯარი, რომელსაც 75 ტანკი იფარავდა. მტერი საბჭოთა ნაწილების მძლავრ ცეცხლს წააწყდა, დიდად დაზარალდა და უკუიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ მოწინააღმდეგემ მეორე იერიში მოიტანა. საბჭოთა მფრინავებმა ტონობით ბომბები დააყარეს ფაშისტებს, ამავე დროს ჰიტლერელებს ჩვენმა არტილერიამ და ნაღმმტყორცნელებმა დაარტყეს. შეტევაზე წამოსულთა დიდი ნაწილი მოსპობილ იქნა. მცირეოდენმა ცოცხლად გადარჩენილმა ფაშისტებმა უწესრიგოდ დაიხიეს თავდაპირველ პოზიციებზე. ჩაშუადღევს მტერი კვლავ დაიძრა კონტრიერიშზე. საბჭოთა მეომრებმა ჰიტლერელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების ეს იერიშიც წარმატებით მოიგერიეს.

ფრონტის ყველა სხვა უბანზე ჩვენი ნაწილები მტკიცედ ინარჩუნებდნენ თავიანთ ზღუდეებს. ერთი დღის ბრძოლაში წითელარმიელებმა ასობით გერმანელი დახოცეს, მწყობრიდან გამოიყვანეს 14-მდე ტანკი და ხელთ იგდეს ტყვეები. ჩვენი საზენიტო ბატარეის ცეცხლით ჩამოგდებულია ფაშისტთა 4 ბომბდამშენი.

ზ. კრილოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 სექტემბრის დილის ცნობა

22 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა დაძაბული ბრძოლები. ცალკეული ქუჩები და სახლები რამდენჯერმე გადადის ხელიდან ხელში. ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა, რომელიც ასზე მეტი ტანკის დახმარებით მოქმედებდა, მოახერხა შეევიწროებინა ჩვენი ნაწილები და ხელთ ეგდო რამდენიმე ქუჩა. დანარჩენ უბნებზე მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულია. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელთა 6 ტანკი და 14 ავტომანქანა მოსპეს და 400-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს. 6 ნაწილის ტანკისტებმა სასტიკ ბრძოლაში დასწვეს და დააზიანეს გერმანელთა 11 ტანკი, მოსპეს 7 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 12 ავტომანქანა და გასწყვიტეს გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ - დასავლეთით, ერთ-ერთ უბანზე, გერმანელებმა რამდენიმე სასტიკი კონტრიერიში მოიტანეს. ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერიეს და გერმანელთა 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგეს უკან დაახევინეს და მნიშვნელოვან გზაზე გაბატონდნენ. გვარდიის ნ ნაწილმა გაჟლიტა ჰიტლერელთა ერთ ბატალიონამდე ჯარი და მოსპო 4 ნაღმსატყორცნი ბატარია, 1 მძიმე ტანკი და 8 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი.

* * *

მოზდოკის რაიონში გრძელდებოდა ბრძოლები მტრის ტანკებისა და მეავტომატეების წინააღმდეგ. გერმანელთა 40 ტანკმა მეავტომატეთა დესანტთან ერთად იერიში მოიტანა პოზიციებზე, რომლებსაც 6 მსროლელი ნაწილი იცავს. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელთა იერიში მოიგერიეს, ამასთან გერმანელთა 8 ტანკი მოსპეს და მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი მეავტომატე დახოცეს.

* * *

უკანასკნელი 3 დღის განმავლობაში ლენინგრადის ფრონტზე არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 19 მიწური საცეცხლე წერტი, 10 ბლინდაჟი და მოსპობილია მოწინააღმდეგის 2 ქვემეხი. ჩვენი სნაიპერებისა და მზვერავთა ჯგუფების აქტიური მოქმედების შედეგად ჰიტლერელებმა 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. ლენინგრადის მისადგომებთან ჩვენმა მფრინავებმა და მეზენიტეებმა გერმანელთა 3 „მესერშმიტ-109“ თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მოწინააღმდეგის მეოთხე თვითმფრინავი შაშხანით ჩამოაგდო უმცროსმა სერჟანტმა ამხ. ოპიენკომ.

* * *

სმოლენსკელმა პარტიზანებმა სადგურ შ-ის რაიონში თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს გერმანელთა ბომბდამშენს. თვითმფრინავს ცეცხლი მოეკიდა, ჩამოვარდა და მიწაში ჩაერჭო. 4 გერმანელი მფრინავი დაიწვა.

* * *

გერმანიის 129-ე ქვეითი დივიზიის 430-ე პოლკის მე-2 ბატალიონის ობერ-ეფრეიტორმა ფრიც ლანგენემა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე დაგვნებდა ტყვედ, განაცხადა: „სექტემბრის დამდეგისათვის ჩვენი ბატალიონი სისხლისაგან იყო დაცლილი. ასეულებში 15-დან 40-მდე კაცი რჩებოდა. 9 სექტემბერს ბატალიონი მთლად განადგურდა. ამ დღეს ჩვენი ასეული მოსპობილ იქნა. რუსებმა დილიდანვე აუტეხეს საარტილერიო სროლა ჩვენს პოზიციებს. ასეულის მეთაურმა ობერ-ლეიტენანტმა ეტმანმა ბრძანება გასცა 2 საათს გაგვეძლო, სანამ მაშველი ჯარი მოვიდოდა. მაგრამ ჯარისკაცებმა ვეღარ გაუძლეს და გაიქცნენ. ისინი თითქმის ყველანი დაიღუპნენ ტყვიითა და ყუმბარებით, რომლებიც სეტყვასავით მოდიოდა. მე და ოთხმა ჯარისკაცმა გადავწყვიტეთ თავი გადაგვერჩინა. ჩვენ თხრილში დავრჩით და, როცა წითელარმიელები მოვიდნენ იარაღი დავყარეთ და ტყვედ დაგნებდით“.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მშვიდობიან მოსახლეობას ჟლეტენ. სექტემბრის პირველ რიცხვებში ოდესის ოლქის ქალაქ პერვომაისკის გერმანელმა კომენდანტმა ბევრ მცხოვრებს უბრძანა კომენდატურაში გამოცხადებულიყვნენ და თან მიეტანათ საჭირო ნივთები და 3 დღის საკმარი სურსათის მარაგი. დანიშნულ დროს 200-მდე კაცმა მოიყარა თავი კომენდატურასთან. ბევრი ქალი ბავშვებიანად მოვიდა. გესტაპოელებმა შეკრებილნი ქალაქგარეთ გაიყვანეს ტანკსაწინააღმდეგო თხრილებთან და დახვრიტეს.

* * *

იმ ხნის განმავლობაში, რაც გერმანელი ოკუპანტები ჩეხოსლოვაკიაში ბატონობენ, მათ ჩეხი ინტელიგენციის ათასობით წარმომადგენელი აწამეს და დახვრიტეს. ამას წინათ პრაღის დილეგებში გესტაპომ 86 მასწავლებელი დახვრიტა. იიგლავის ახლოს არსებულ საკონცენტრაციო ბანაკში ერთ წელიწადზე მეტია იტანჯება 500-მდე ჩეხი მასწავლებელი, ჟურნალისტი და პროფესორი. მარტო 6 თვის განმავლობაში ამ ბანაკში 150 კაცი მოკვდა შიმშილითა და ავადმყოფობით. გერმანელები ყოველ ნაბიჯზე აბუჩად იგდებენ პატიმარ ჩეხებს და დედაენაზე ლაპარაკიც კი აუკრძალეს მათ.

23 სექტემბრის საღამოს ცნობა

23 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

23 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 5 ტანკი, 25 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 30 საზიდარი საომარ მასალიანად, ჩააჩუმეს საველე და საზენიტო არტილერიის 8 ბატარეის ცეცხლი, ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი, გაფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მოწინააღმდეგის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები ქუჩებში. მოწინააღმდეგეს ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალებით, ავიაციის დახმარებით, განუწყვეტლივ მოჰქონდა იერიშები საბჭოთა ჯარების პოზიციებზე. გვარდიის ნ შენაერთმა მოწინააღმდეგის 12 იერიში მოიგერია და გერმანელთა 42 ტანკი მოსპო. ჰიტლერელები დიდად დაზარალდნენ ცოცხალი ძალის მხრივ. სხვა უბანზე ჩვენი ქვეითი ჯარის საბრძოლო მოქმედებით და არტილერიის ცეცხლით სამი დღის განმავლობაში გაჟლეტილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებულია და დაიწვა 44 ტანკი, მოსპობილია 18 ქვემეხი, 30 ავტომანქანა, 6 ნაღმსატყორცნი ბატარია და 39 სატყვიამფრქვევო წერტი.

ვოლგის სამხედრო ფლოტილიის ხომალდებმა უკანასკნელი დღეების განმავლობაში სტალინგრადთან მთელი რიგი დარტყმები მოახდინეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. ჩვენი ხომალდების არტილერიის ცეცხლმა გაჟლიტა გერმანელ და რუმინელ ჯარისკაცთა სულ ცოტა ორი ბატალიონი, ჩააჩუმა მოწინააღმდეგის 8 საარტილერიო და 3 ნაღმსატყორცნი ბატარიის ცეცხლი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ - დასავლეთით ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას განაგრძობდნენ და რამდენადმე წინ წაიწიეს. ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ნაწილებმა გაჟლიტეს მტრის 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, 4 საარტილერიო და 7 ნაღმსატყორცნი ბატარია, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების 2 ბატარია და 66 ტყვიამფრქვევი. გარდა ამისა, ჩვენმა მებრძოლებმა მტერს წაართვეს 11 ქვემეხი, 13 ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი და რადიოსადგური. სხვა უბანზე 6 ნაწილის ტანკისტებმა გერმანელთა 13 ტანკი დააზიანეს, 16 ავტომანქანა მოსპეს და 300-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. მეთაურ ამხ. ტარლეცკის ასეულმა მოწინააღმდეგის რიცხვობრივად ჭარბ ძალებთან ბრძოლაში ხელთ იგდო გერმანელთა რამდენიმე მიწური საცეცხლე წერტი და 90 ჰიტლერელი გაჟლიტა.

* * *

მოზდოკის რაიონში ნ შენაერთის ნაწილები ბრძოლას ეწეოდნენ მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგ, რომლებიც შეტევაზე გადმოვიდნენ. გერმანელები საბჭოთა მებრძოლების შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, 5 ტანკი, 24 ავტომანქანა და 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

* * *

ვორონეჟის რაიონში შეტევაზე გადმოვიდა გერმანელთა 4 პოლკამდე ქვეითი ჯარი 75 ტანკის დახმარებით. მოწინააღმდეგეს ჩვენი ქვეითი ნაწილების არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი დახვდა და საბჭოთა ავიაციამ დაარტყა. ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ გერმანელ ფაშისტთა ჯარების იერიში მოგერიებულ იქნა. ბრძოლის ველზე ასობით მოკლული ჰიტლერელი დარჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ გერმანელებმა ორჯერ კიდევ სცადეს იერიში მოეტანათ ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარათ. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულია. ამ ბრძოლაში დაზიანებულია და დაიწვა მოწინააღმდეგის 14 ტანკი და გაჟლეტილია 1.500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 4 თვითმფრინავი.

* * *

გერმანელ ეფრეიტორ გიუნტერ გლეტცერს ვინმე ჰაინრიხ იაკობშნაიერი სწერს: „აქ ცოტა სიხარული და ბევრი მწუხარებაა. ყველგან გრძნობ ომს, ნგრევის კვალი სჩანს. ინგლისელი მფრინავები სულ უფრო და უფრო ხშირად გვეწვევიან ხოლმე. ბომბთავშესაფარი ჩვენს მთავარ ბინად გადაიქცა. გუშინ დღისით-მზისით „ტომებმა“ ბომბები ჩამოჰყარეს დიუსბურგში... აქ რუსი ქალების მთელი ეშელონები ჩამოვიდა. ისინი მრეწველობაში მუშაობენ. მათ სახეზე აღბეჭდილია დაღლილობა. ზოგიერთი ისეა დაუძლურებული, რომ ფეხებს ვეღარ ადგამს და შიმშილით კვდება... აქ შემაშფოთებელი ხმები ვრცელდება. ყოველდღე შეიძლება მოხდეს რაღაც მოულოდნელი და გამოუსწორებელი. მარტო ამისაგან შეიძლება ადამიანი სასოწარკვეთილებას მიეცეს“.

* * *

ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ როჟდესტვენკაში გერმანელმა ოფიცერმა ღრმად მოხუცებულ კოლმეურნე ელენე პალინიუკს რამდენიმე უკრაინული საბჭოთა გაზეთი უპოვნა. მისი ბრძანებით ჰიტლერელები მხეცურად გაუსწორდნენ კოლმეურნე ქალს. ბანდიტებმა პალინიუკს ძუძუები დასჭრეს, ზურგზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამოსწვეს და მხეცური წამების შემდეგ ჩამოახრჩვეს იგი.

* * *

ჰიტლერის ნორვეგიელმა ხელქვეითმა კვისლინგმა ბერლინიდან ბრძანება მიიღო მობილიზაცია მოეხდინა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაეგზავნა 18-დან 45 წლამდე ასაკის ყველა ნორვეგიელი ფაშისტი. ამ განკარგულებამ შეშფოთება გამოიწვია კვისლინგელთა რიგებში. ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ პარტიიდან გადის. ოსლოში მოიერიშეთა მეტმა ნაწილმა თავი აარიდა რეგისტრაციას, ბევრი კი დაიმალა. ჰედმარკის ოლქში მოიერიშეთა 8 რაზმი დაიშალა. 60 მოიერიშე შვეციის საზღვარზე დაიჭირეს გაქცევის ცდის დროს. ახლა კვისლინგმა რაზმები შექმნა იმისათვის, რომ თავისი მოიერიშეები მოძებნოს და დაიჭიროს.

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 22 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ნაწილები მტრის იერიშებს იგერიებდნენ და მის ძალებს ჰფანტავდნენ.

ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ ორამდე ასეულით სცადა საბრძოლო დაზვერვა ეწარმოებინა. ჰიტლერელები უკუგდებულ იქნენ ჩვენი თავდაცვის ცეცხლით. არტილერისტებმა მოსპეს 4 ქვემეხი და ჩააჩუმეს 3 სანაღმსტყორცნო და 4 საარტილერიო ბატარეა. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ 6 ნაწილმა გარეკა გერმანელები მნიშვნელოვანი მაღლობიდან და გამაგრდა იქ. დღის განმავლობაში მაღლობი ექვსჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. უკანასკნელი იერიშის დროს ფაშისტებმა პროვოკაციას მიმართეს. ერთ-ერთ ფლანგზე იმათ წითელარმიელის ფორმით გამოწყობილ ჯარისკაცთა ჯგუფი გამოიყვანეს ბრძოლაში. საბჭოთა მებრძოლები მიუხვდნენ მტერს განზრახვას და გამანადგურებელი დარტყმა აგემეს მას. სასტიკ ბრძოლებში ერთ-ერთმა ჩვენმა მსროლელმა ქვედანაყოფმა დაკავებული ზღუდიდან გარეკა გერმანელები და 400-მდე ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა.

ი. ლაპონოგოვი

„მთხრობელისათვის“

დასავლეთის ფრონტი, 23 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მებრძოლთა ჯგუფმა სერჟანტ ობოლენსკის მეთაურობით დავალება მიიღო ხელთ ეგდო ტყვე. ჯგუფმა გერმანელთა ერთ-ერთი სანგარი შეარჩია და თვალყურის დევნება დაუწყო მას. მზვერავებმა დაინახეს, რომ სანგრის ერთ უბანს, რომელიც სატყვიამფრქვევო ბუდისათვის იყო მოწყობილი, სამი გერმანელი იცავს. მათ დაღამებას მოუცადეს და დავალების შესასრულებლად გაემართნენ.

მზვერავები სწრაფად გავიდნენ მდინარეში და მავთულხლართი გადალახეს. სანგარს რომ მიუახლოვდნენ, წითელარმიელები გაბედულად გაემართნენ საცეცხლე წერტისაკენ. ამ დროს მათკენ წამოვიდა გერმანელი, რომელმაც სიბნელეში თავიანთ ჯარისკაცებად მიიღო თამამად მიმავალი ადამიანები და გაატარა.

სერჟანტმა ოთხი მებრძოლი დასტოვა გზის გასაყარზე და გზა განაგრძო. ტყვიამფრქვევთან გერმანელი ეფრეიტორი იდგა. შორიახლოს მეორე ფაშისტს ეძინა, რომელიც სანგრის კუთხესთან ჩამჯდარიყო. ობოლენსკიმ მებრძოლ ანტროპოვს ანიშნა თვალყური ედევნებინა მძინარისათვის, მივარდა ეფრეიტორს, წააქცია და პილოტის ქუდით დაუცო პირი. მაგრამ ეფრეიტორი ხელიდან გაუსხლტა და დაიყვირა. მძინარი გერმანელი ფეხზე წამოხტა. მაგრამ სანამ იგი სანგრიდან ამოხტებოდა, ჩვენმა მებრძოლებმა შეიპყრეს.

მებრძოლებმა ტყვე წამოიყვანეს, ხელის ტყვიამფრქვევი და შაშხანა წამოიღეს და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

ვ. არეფიევი

საკდესი უარყოფს

უცხოეთის პრესაში ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, ვითომდა ამ დღეებში საბჭოთა თვითმფრინავების ჯგუფს ბომბები ჩამოეყაროს ბულგარეთის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში. საკდესს დავალებული აქვს უარჰყოს ეს ჭორი, რომელიც შეთითხნილია აშკარა პროვოკაციული მიზნით.

ყაბარდოელ-ბალყარელი და ჩაჩან-ინგუში ხალხების უხუცეს წარმომადგენელთა მიმართვა კავკასიის ყველა მშრომელებისადმი

ძვირფასო ძმებო და დებო, კავკასიის მთიელებო — ქალებო და კაცებო!

მეორე წელია გერმანელი ბოროტმოქმედნი და მკვლელნი ანგრევენ ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, სტანჯავენ უმწეო ბავშვებსა და მოხუცებს, აუპატიურებენ ჩვენს ქალებს. დღეს ჰიტლერელმა ჯარისკაცებმა, ამ მძარცველთა და კაცისმკვლელთა ხროვამ, უდიდესი ზარალის ფასად შემოაღწიეს ჩვენი მშობლიური კავკასიის მთების კალთებში. ჰიტლერელთა არმიას თან სდევს მკვლელობათა და ძალადობათა სისხლიანი კვალი. გაცოფებული ქოფაკები მოისწრაფვიან ჩვენს კავკასიაში, რათა პირწმინდად გასძარცვონ ჩვენი უმდიდრესი მხარე, რათა ხელთ იგდონ ჩვენი ნავთი, ჩვენი პური, ჩვენი პირუტყვი, ჩვენი მთის სიმდიდრენი.

იქ, სადაც ჰიტლერელთა არმიამ შეაღწია, მათთან ერთად მოვიდა შავბნელი სიკვდილი, ხანძართა ცეცხლი, განადგურების საშინელება. ჩვენ, ყაბარდოელ-ბალყარელი და ჩაჩან-ინგუში ხალხების უხუცესმა წარმომადგენლებმა, დღეს ჩვენი თვალით ვნახეთ ის, რაზედაც აქამდე მხოლოდ გვესმოდა და რაზედაც გაზეთებში ვკითხულობდით. ჩვენ ვიყავით ყაბარდოულ სოფელ ყიზბურუნ-1-ში, რომელიც ეს-ეს არის გაათავისუფლა მამაცმა წითელმა არმიამ გერმანელ-რუმინელ ოკუპანტებისაგან. სიკვდილი და განადგურება მეფობს ამ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მდიდარსა და აყვავებულ ყაბარდოულ სოფელში. ჩვენ ვნახეთ საკოლმეურნეო ყანები, გასრესილი და გათელილი ჰიტლერის ფაშისტური ღორების მიერ. ჩვენ შევდიოდით ყიზბურუნელ კოლმეურნეთა სახლებში და ვნახეთ მათი საცხოვრებელი ბინები, ქურდი და გაუმაძღარი ფაშისტი ბანდიტების მიერ გაძარცული. თვალცრემლიანმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა — 68 წლის ფატა გაზოევმა და 62 წლის უნათ გაზოევამ გვიამბეს იმ საყოველთაო ძარცვის შესახებ, რაც მთელმა ადგილობრივმა მოსახლეობამ განიცადა. გერმანელ-რუმინელი მძარცველები კოლმეურნეებს ართმევდნენ ტანსაცმელს, ჭურჭელს, სხვადასხვა საოჯახო ნივთს, ხოცავდნენ პირუტყვსა და შინაურ ფრინველს. მხეცმა ფაშისტებმა მარტო ერთ სოფელ ყიზბურუნ-1-ში დახვრიტეს 52 ადგილობრივი მცხოვრები მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ჩვენი საბჭოთა ადამიანები იყვნენ. წითელარმიელ გისიმოლოვის ცოლს უნდოდა ძარცვის დროს დაეკეტა ბანდიტების წინაშე თავისი სახლის კარი. გერმანელმა მეავტომატეებმა სროლა აუტეხეს სახლს, დასჭრეს ქალი და მოჰკლეს მისი 10 წლის ვაჟი. ძარცვის წინააღმდეგ პროტესტებისათვის ფაშისტმა ავაზაკებმა დახვრიტეს 12 წლის ბიჭი ზარამუკ საბლიროვი, მოჰკლეს კოლმეურნე არსტოვი, ლაცა საბლიროვა, მოხუცი ქალი ფანისა ასლანოვა და ბევრი სხვა. ველურ ძალდატანებას აყენებენ ქალებს ფაშისტი არამზადები მათ მიერ დაპყრობილ სოფლებში. ისინი მშობლების თვალწინ აუპატიურებენ ქალიშვილებს, პატივსა ხდიან მოხუც ქალებს. ორმა გერმანელმა ეფრეიტორმა სოფელ ყიზბურუნში მხეცურად გააუპატიურა წითელარმიელ მუხაჯირის ცოლი, ხოლო ხუთმა რუმინელმა ჯარისკაცმა გააუპატიურა და შებილწა 15 წლის მოსწავლე ყაბარდოელი ფარიზა ხ. მთვრალი ფაშისტი ბანდიტები ღამით შეიჭრნენ 53 წლის მოხუცი ქალის სახლში და გააუპატიურეს იგი. ამ სოფლის ბევრი მცხოვრები ფაშისტმა არამზადებმა გერმანიის მონობაში გარეკეს.

ჩვენ მოხუცებული ადამიანები ვართ. ბევრი კარგი და ცუდი რამ გვინახავს ჩვენი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში. ბევრჯერ მწუხარებას კრიჭა შეუკრავს ჩვენთვის. ცრემლებს დაუხრჩივიართ, მაგრამ არავის არასოდეს არ უნახავს ცრემლით დასველებული ჩვენი თვალი, და თუ დღეს ზოგმა ჩვენგანმა ცრემლი ვერ შეიკავა, როცა ამ სოფლის ნაწამებ, გაუბედურებულ, გაძარცულ მცხოვრებთ უცქეროდა, — დაე გვეპატიოს ეს წუთიერი სისუსტე. ეს სიძულვილის ცრემლი ადუღდა ჩვენს თვალში, ჩვენი გული აღსავსეა ჰიტლერელ ჯალათებისა და კაცისმკვლელებისადმი შურისგების წყურვილით. ჩვენი სიძულვილის ჩაქრობა შეუძლია მხოლოდ უკანასკნელი ფაშისტი ჯარისკაცის სიკვდილს ჩვენს საბჭოთა მიწა-წყალზე, ჩვენს შურისგებას დააცხრობს მხოლოდ მტრის სრული მოსპობა.

ფაშისტთა აგენტები და პროვოკატორები ავრცელებენ ხმებს, თითქოს გერმანელები კარგად ეპყრობიან მთიელ ხალხებს. ეს სიცრუეა, თავხედური ტყუილი!—ჰიტლერელებს ერთნაირად სძულთ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი—ყაბარდოელებიც, [illegible], ინგუშებიც, უკრაინელებიცა და ბელორუსებიც; ჰიტლერელ ყაჩაღებს ყველა ჩვენგანი, საბჭოთა ადამიანი, დაბალ რასად მივაჩნიართ, მათ ყველა ჩვენგანისათვის სიკვდილი, სილატაკე და მონობა მოაქვთ. ერთნაირად ნადგურდება და ისპობა რუსების სტანიცებიც, ყაბარდოს დაბებიც, უკრაინის ქალაქებიც, ბელორუსიის სოფლებიც.

ძმებო კავკასიელებო, ყაბარდოელებო და ბალყარელებო, ჩაჩნებო და ინგუშებო, ჩერქეზებო და ადიღელებო, ყარაჩაელებო და ყალმუხებო, ოსებო და მრავალეროვანი დაღისტნის მშრომელნო! თქვენ მოგმართავთ ჩვენ, ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ხალხთა უხუცესი წარმომადგენლები, რომელთაც ჩვენი თვალით გვინახავს ის საშინელება, რაც მუხანათ ჰიტლერს ჩვენს მშობლიურ მთებში მოაქვს. ჩვენ გეკითხებით თქვენ: განა შეგვიძლია ჩვენ მოვითმინოთ, რომ გერმანელმა ყაჩაღებმა ძარცვონ ჩვენი სოფლები, ხოცონ ჩვენი მოხუცები და შვილები, აუპატიურონ ჩვენი ქალები, დაიმონონ ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ხალხები? როგორც მთის მდინარეები უკან ვერ იდენენ, როგორც მშვენიერი მზე არ შესწყვეტს ჩვენი დედამიწის განათებას, ისე ფაშიზმის შავი ღორები ვერასოდეს ვერ დაჰფარავენ ჩვენს კავკასიის მთებს. ძაღლი ჰიტლერი ვერ დაეპატრონება ჩვენს კავკასიას, ჩვენს საბჭოთა ქვეყანას. თავისუფლებისმოყვარე მთიელებო, გვისმინეთ ჩვენ, თქვენს მოხუც ადამიანებს. ერთი კაცივით აღსდგით ყველანი, ქალებო და კაცებო, მოხუცნო და ბავშვებო! რა იარაღიც გინდათ აიღეთ ხელში, ურტყით, ქლიტეთ ჰიტლერის შავი ღორები, რომელთაც არ იციან თუ რა არის ადამიანის სინიდისი. კავკასიის მამაცო ჯიგიტებო! ჰიტლერელ ბანდიტებს ჩვენი ადამიანების სისხლი მართებთ. სისხლით ვიძიოთ შური მათზე ამ სისხლისათვის! სიკვდილით გვიზღავენ ისინი ჩვენი ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების სიკვდილს. ჰიტლერი და მისი ბანდა ჩვენი მოსისხლე მტერნი არიან. და როგორც მოსისხლე მტერნი, ისინი პასუხს აგებენ ყოველი წვეთი სისხლისათვის, რომელიც ჩვენმა ძმებმა და დებმა დაღვარეს კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში.

ძმებო და დებო, კავკასიის მთიელებო და მთიელო ქალებო! ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ ჩვენი წითელი არმიის ძლიერება, მრისხანე იარაღი, რომელსაც იგი ჰფლობს, ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ იმ რუმინელ და გერმანელ ჯარისკაცთა გვამები, რომელთაც ჩვენს მიწაზე ჰპოვეს სამარე, რომელნიც წითელი არმიის მამაც მეომართა დარტყმით დაეცნენ. იმისათვის, რომ კავკასიის მთები სამარე გახდეს ყველა გერმანელი ყაჩაღისათვის, რომელიც აქ მოსულა, ჩვენ, კავკასიის ვაჟიშვილები და ქალიშვილები, ყოველი ძალ-ღონით უნდა ვეხმარებოდეთ ჩვენს მამაც წითელ არმიას. კავკასიელო! სადაც უნდა იყო შენ, წითელი არმიის რიგებში თუ პარტიზანულ რაზმში, საკოლმეურნეო მინდორში თუ ქარხნის ეზოში, — გახსოვდეს, რომ შენ ყოველ ჟამს, ყოველ წუთს ბრძოლასა და შრომაში უნდა ქლიტო საზიზღარი მტერი.

კავკასიის დროებით ოკუპირებული რაიონების ძმებო და დებო! დაირაზმეთ ავაზაკი ჰიტლერისა და მისი ბანდიტების წინააღმდეგ, შედით პარტიზანულ რაზმებში, ნუ მისცემთ ფაშისტ არამზადებს ნურც წყალს, ნურც პურს. დაანგრიეთ გზები და ხიდები, ანადგურეთ გერმანელთა არმიების შტაბები, ხოცეთ მათი ოფიცრები და ჯარისკაცები, იყავით ნამდვილი სახალხო შურისმგებელნი, გწამდეთ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება და მალე ჩვენ კვლავ ერთად ვიცხოვრებთ ბედნიერად და თავისუფლად. ჩვენ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა ვიცით, რომ ჩვენი ძალა ერთმანეთს შორის ურღვევ მეგობრობაშია, დიდი რუსი ხალხის მხრივ ჩვენდამი ძმურ დახმარებაშია. მაშ დავირაზმოთ ერთი კაცივით, განურჩევლად ასაკისა და ეროვნებისა, ჩვენი მოსისხლე მტრების წინააღმდეგ, ჰიტლერელ კაცისმკვლელთა და მოძალადეთა წინააღმდეგ, წმიდა ომისათვის. მოვიპოვოთ სანატრელი გამარჯვება საზიზღარ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში.

გაუმარჯოს ჩვენს მამაც წითელ არმიას! გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და სახელოვან მხედართმთავარს, ჩვენს მამას სტალინს!

ყაბარდო-ბალყარელ და ჩაჩან-ინგუშ ხალხთა წარმომადგენლები: **ბლიანიხოვი, ხაიროვი, დიშეკოვი, ბაჩაევი, გალოვი, ალგაბაჩიევი, ხარაჩოევი, მურადოვი, მუცოლგოვი, აჟიგოვი, კაგერმანოვი** და სხვ.

ბრძოლები სტალინგრადისათვის

მოქმედი არმია, 23 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მტერი სისხლისაგან იცლება, მაგრამ მაინც კვლავ წინ მოიწევს. დღედაღამ არა სცხრება გააფთრებული სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლებიც ქუჩაში ბრძოლად, ხელჩართულ შეტაკებებად იქცევა. საბჭოთა მებრძოლები მკერდით იცავენ ყოველ ქუჩას, ყოველ სახლს და მძლავრად ურტყამენ ჰიტლერელებს. ქალაქის დამცველები განუწყვეტელი კონტრიერიშებით ქანცს ულევენ მტერს, სპობენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში ჩვენი ჯარები, რომლებმაც სამი დღის წინათ ხელთ იგდეს ქალაქზე მბრძანებელი მაღლობები, წარმატების განვითარებას განაგრძობდნენ. გუშინ საბჭოთა საზღვაო ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფმა იერიში მიიტანა მტრის ზღუდეებზე, რომლებიც რუმინელებს ეკავათ. იერიში განსაკუთრებით სწრაფი და შეუპოვარი ხასიათისა იყო. მეზღვაურები 400 კაცი იყო, რუმინელები კი—1.000-მდე. მოწინააღმდეგემ ბრძოლის შედეგად 900-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

ქუჩაში ბრძოლების დროს აქტიურად მოქმედებდნენ პატარა ქვეგანაყოფები. საბჭოთა მებრძოლები და მეთაურები დიდ ინიციატივას და მოსაზრებულობას იჩენენ. გერმანელები ძლიერ სროლას ეწეოდნენ ერთი სახლის სარდაფიდან. ჩვენი ქვეითი ჯარის წინსვლა ბრკოლდებოდა. სარდაფთან მიიპარა გვარდიის წითელარმიელი კეტია. მან გრანატები დაუშინა სარდაფში ჩამსხდარ გერმანელ მეავტომატეებს, სარდაფში შეიჭრა და ხელჩართულ შეტაკებაში დახოცა გადარჩენილი ჰიტლერელები. მეორე ქუჩის მისადგომებს გერმანელები ტყვიამფრქვევის ცეცხლით იცავდნენ. გვარდიის პოლიტხელი მიხეილ უხოვი მებრძოლებთან ერთად გაეშურა წინ, ფაშისტი მეტყვიამფრქვევე მოკლა, ხელთ იგდო ტყვიამფრქვევი და სროლა აუტეხა გაქცეულ მოწინააღმდეგეს.

გერმანელები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ მნიშვნელოვანი პუნქტი, რისთვისაც 6 ნაწილის წინააღმდეგ იერიშზე გამოუშვეს 2 პოლკი ქვეითი ჯარი და 10 ტანკი, რომელთაც ფრონტიდან და ფლანგზე უნდა დაერტყათ. გვარდიელებმა ირგვლივი თავდაცვა მოაწყვეს. ფაშისტთა ტანკები დაზიანებულ იქნა ოსტატურად შენიღბული ტანკსაწინააღმდეგო ბატარეების პირდაპირი ცეცხლით. მტრის ქვეითი ჯარის იერიში მოიგერიეს საბჭოთა მსროლელებმა, მეავტომატეებმა და ნაღმმტყორცნელებმა, რომლებიც სახლების სახურავებიდან და ბარიკადებიდან მოქმედებდნენ.

მჭიდროდ თანამოქმედებენ ქვეით ჯართან, არტილერიასთან და ავიაციასთან ჩვენი ტანკისტები. სატანკო ქვეგანაყოფმა ბუბნოვის მეთაურობით ერთ ბრძოლაში მტრის 17 ზარბაზანი და 9 ტყვიამფრქვევი მოსპო და 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა. სხვა უბანზე ერთმა მუჭა ტანკისტებმა ფაშისტთა 18 ტანკის იერიში ჩაშალეს.

მესანგრეთა მცირე ქვეგანაყოფზე, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი მესიაცი მეთაურობდა, იერიში მიიტანა მტრის მეავტომატეთა ოცეულმა და 30 კავალერისტმა. მტერი ცდილობდა რკინიგზის ლიანდაგი გადაეჭრა. მესანგრეებმა ახლო მანძილზე მოუშვეს ფაშისტები და გრანატები დააყარეს მათ. გერმანელებმა მესანგრეთა თხრილების მისადგომებთან 40-მდე მოკლული დასტოვეს და უკან დაიხიეს. მალე მათ კონტრიერიშზე გამოუშვეს 2 ბატალიონი ქვეითი ჯარი. მესანგრეები ბოლომდე იბრძოდნენ, ყველანი დაიღუპნენ. მაგრამ უკან კი არ დაუხევიათ. ამ უთანასწორო ბრძოლაში 200-მდე ფაშისტი იქნა გაჟლეტილი.

დ. შჩუკინი

ულმობლად მოვსპოთ საზიზღარი მტერი

მტერი სისხლისაგან იცლება, გორებად აყენებს თავის ჯარისკაცთა გვამებს და ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს გასტეხოს ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა. იგი აღგზნებულია ხარბი მისწრაფებით—ხელში ჩაიგდოს კავკასიის სიმდიდრენი, დაიმონოს ამიერ-კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

ფაშისტთა გააფთრებულ მოწოლას ჩვენი ჯარები უპირდაპირებენ მტკიცე თავდაცვას, რომელზეც იმსხვრევა მტრის ყველა იერიში. მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები მთელ თავის ძალ-ღონეს, მთელ თავის უნარს ახმარენ იმას, რომ მოსპონ მტრის რაც შეიძლება მეტი ცოცხალი ძალა და ტექნიკა, რაც შეიძლება მალე დასცალონ იგი სისხლისაგან.

მშობლიური კერისა და ოჯახისათვის, ამიერ-კავკასიის ხალხთა ღირსებისა და თავისუფლებისათვის გმირულად იბრძვიან ქართველი ხალხის შვილები.

ულმობლად სპობს საზიზღარ მტერს ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის ბატარეა, რომლის კომისარიც არის უმცროსი პოლიტხელი ამხ. **მამარდაშვილი**. მრავალი ათეული ჰიტლერელი და ფაშისტთა ტანკი გაისტუმრა ამ ბატარეამ „საიქიოს“. ბატარეა თავისი კომისრისაგან იღებს მტრის განადგურების ბოლშევიკური უნარის მაგალითს.

უკანასკნელ ბრძოლაში, როდესაც ფაშისტებმა იერიში მიიტანეს ბატარეაზე, პირადად ამხ. მამარდაშვილმა ორი ოფიცერი მოჰკლა. გერმანელები ორი დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლით ეხმარებოდნენ იერიშს. ამხ. მამარდაშვილი თვითონ დადგა ზარბაზანთან და რამდენიმე გასროლით მოსპო მტრის ორივე ტყვიამფრქვევი მათი გუნდებიანად. ჰიტლერელთა იერიში მოგერიებულ იქნა.

მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები ზუსტად აწარმოებენ მოსპობილ ფაშისტთა ანგარიშს. ისინი ცდილობენ ყოველდღე გაადიდონ ეს ანგარიში.

ზემდეგ მეფარიშვილს მოსპობილი ჰყავს არა ერთი ათეული ჰიტლერელი. 13 სექტემბერს მან კიდევ სამი ფაშისტი მოსპო, ხოლო 14 სექტემბერს ამ ანგარიშს ოთხი ფაშისტი კიდევ დაუმატა.

ზემდეგის მიბაძვით, ამ ასეულის აქამდე უჩინარმა, თავდაბალმა მებრძოლმა **ფირაძემ** პირველსავე ბრძოლაში 14 სექტემბერს 9 ჰიტლერელი მოსპო.

„მე სამშობლოს წინაშე მოვალეობას ვასრულებ“,—მორცხვად უპასუხა მან ამხანაგებს მილოცვაზე.

ამავე ასეულის კომკავშირელმა **ბერიძემ**, სიცოცხლის რისკის გაწევით, მტრის ძლიერ ცეცხლქვეშ მდინარის ნაპირზე გადაიტანა თავისი დაზგის ტყვიამფრქვევი და მიზნიანი სროლით დახოცა 6 ჰიტლერელი, რომლებიც ცდილობდნენ ნავით გადმოსულიყვნენ ჩვენს ნაპირზე.

ნ. ვალუევი
ბატალიონის კომისარი.

პეტრე ბაგრატიონი

(გარდაცვალებიდან 130 წლისთავის გამო)

ჩვენი სამშობლოს დიდ მხედართმთავართა პლეადაში ისტორიამ საპატიო ადგილი მიაკუთვნა სახელგანთქმულ გენერალს პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონს. მისი მეთაურობით რუსეთის არმია სასწაულებს ახდენდა შვეიცარიის ალპების თოვლიან მწვერვალებზე, მორავიის თვალუწვდენ ველებზე, წყალუხვ დუნაის ნაპირებთან, ფინეთის გაუვალ ტყეებში. ბაგრატიონის გულადობა და სიმამაცე თვით ნაპოლეონსაც კი ანცვიფრებდა. „ბაგრატიონი რუსეთის საუკეთესო გენერალიაო",—ამბობდა ნაპოლეონი. ერთერთი სამხედრო ისტორიკოსის თქმით, იგი იყო „ლომი, რომელმაც არც საფრთხე იცოდა, არც შიში".

ბაგრატიონმა მთელი თავისი სიცოცხლე ბრძოლებსა და ლაშქრობებში გაატარა. მან მონაწილეობა მიიღო 20 ლაშქრობასა და 150 ბრძოლაში და დაჯილდოებული იყო 13 ორდენითა და ოქროს ხმლით წარწერით: „მამაცობისათვის". ბაგრატიონი იყო შორეული წარსულის იმ მცირერიცხოვან სარდალთაგანი, რომელიც ჯარისკაცთა მასას უყვარდა. დღემდე უცნობ და ახლახან გამოქვეყნებულ ბრძანებაში, რომელიც დათარიღებულია 1811 წ. 11 სექტემბრით, ბაგრატიონი სწერს: „...ყოველი უფროსი უნდა ცდილობდეს მოიპოვოს თავის ხელქვეითთა სიყვარული და ნდობა და არასოდეს არ უნდა უგულებელჰყოფდეს მათ, როგორც ერთადერთ თავის თანამშრომლებს, რომლებთანაც იგი იზიარებს სახელს, ერთი სიტყვით, უფროსი ხელქვეითისათვის მშობელი მამა უნდა იყოს".

დიდ მხედართმთავარ სუვოროვის ღირსეული მოწაფის და კუტუზოვის შესანიშნავი თანამებრძოლის პეტრე ბაგრატიონის ბიოგრაფია აღსავსეა ბრძოლის ბრწყინვალე ეტაპებით.

პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი—საქართველოს სამეფო გვარეულობის შთამომავალი — ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ძმის იესეს შვილიშვილი იყო. დაიბადა იგი 1765 წელს. 17 წლისა იყო ბაგრატიონი პეტერბურგს რომ გაემგზავრა. სადაც სერჟანტად შევიდა კავკასიის მე-2 მუშკეტიორთა პოლკში. ამ პოლკში ყოფნისას ახალგაზრდა ბაგრატიონმა მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. 1788 წელს ოჩაკოვის კედლებთან გაითქვა მან სახელი, როგორც გულადმა და მამაცმა ოფიცერმა. აქ მიაქცია მას ყურადღება დიდმა მხედართმთავარმა სუვოროვმა, დაიახლოვა იგი და ამ დროიდან ბაგრატიონი მისი მარჯვენა ხელი გახდა.

1799 წელს დაიწყო ევროპის კოალიციის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ. რუსეთ-ავსტრიის ჯარების მთავარსარდლის პოსტზე დანიშნულ იქნა სუვოროვი. ამ დროს ბაგრატიონი გენერალ-მაიორი იყო და მას ავანგარდის მეთაურობა მიანდეს. დაიწყო ლეგენდარული ლაშქრობა იტალიის ალპებზე და ამ უძნელეს და უდიდეს ეპოპეაში ბაგრატიონი მთავარ როლს ასრულებდა. ბუნების სტიქიონი გადალახული იყო. უდიდესი დაძაბულობით დასრულდა ალპებზე გადასვლა. ამ ბრძოლებში ბაგრატიონმა უჭკნობი სახელი მოიხვეჭა მთელს ევროპაში.

1805 წლიდან დაწყებული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ბაგრატიონს არ მიუტოვებია ბრძოლის ველი. დიდი გამარჯვებით დამთავრდა მისი ლაშქრობა ფრანგების წინააღმდეგ ავსტრიაში, განსაკუთრებით კი სოფელ შენგრაბენთან. ამ ბრძოლის შემდეგ ბაგრატიონმა მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

1808 წელს ბაგრატიონმა მონაწილეობა მიიღო რუსეთ-შვეციის ომში. თავისი ჯარით გადასერა მთელი ფინეთი, დაიპყრო ალანდის კუნძულები და მიაღწია შვეციის სანაპიროებს. საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ბაგრატიონი დანიშნულ იქნა დუნაისპირა ველებში მოქმედი რუსეთის ჯარის სარდლად. აქაც, ისევე როგორც ყველგან, მან გამოიჩინა დიდი სამხედრო ნიჭი და გამჭრიახობა ციხესიმაგრეების მანჩის, გიროვის, იზმაილის, ბრაილოვის და სხვ. აღებისას.

1812 წლის სამამულო ომში ბაგრატიონი სარდლობდა მე-2 დასავლეთის არმიას. მან მოხერხებულად და დიდი წარმატებით ჩაატარა მძიმე ლაშქრობა პირველ არმიასთან შესაერთებლად, გზადაგზა აწარმოებდა სასტიკ ბრძოლებს ნაპოლეონის ჯარებთან და გამოიყვანა თავისი არმია სმოლენსკთან, რითაც თავი დააღწია მტრის მარწუხებს. ქალაქ კრასნისთან გენერალ ნევეროვსკის 27-ე დივიზიამ მტრის ჭარბი ძალების 40-ზე მეტი იერიში მოიგერია და გარემოცვიდან გამოვიდა. ბოროდინოს ბრძოლის წინადღით ბაგრატიონის 11 ათასი ჯარისკაცი ცხრა საათის განმავლობაში შევარდინის რედუტს იცავდა სამჯერ უფრო ძლიერი მტრის მოძალებისაგან.



1812 წლის 7 სექტემბერს ბოროდინოს ბრძოლაში ბაგრატიონმა კიდევ უფრო ბრწყინვალე გახადა და უკვდავჰყო თავისი სახელი.

სემიონოვის (ბაგრატიონის) ფლეშებთან ბრძოლაში ფრანგების მთავარი ძალების წინააღმდეგ, თავისი საყვარელი გენერლის პეტრე ბაგრატიონის უმაგალითო სიმამაცით აღფრთოვანებულმა რუსმა ჯარისკაცებმა უჭკნობი დიდების სახელი მოიხვეჭეს. მათ სისხლისაგან დასცალეს მტრის მთავარი ძალები.

ბრძოლის დაწყებისთანავე ნაპოლეონმა ბაგრატიონის წინააღმდეგ წარმართა მთავარი დარტყმა. ბაგრატიონი და საფრანგეთის მარშლები ნეი, დავუ, მიურატი რამდენჯერმე ართმევდნენ ერთმანეთს ადამიანებისა და ცხენების გვამებით მოფენილ ფლეშებს. ბაგრატიონმა ნევეროვსკის დივიზიით ზედიზედ მოიგერია მტრის შვიდი უსასტიკესი იერიში.

ამ სასტიკ ბრძოლას ბრიგადის მეთაური ლევიცკი ასე აგვიწერს: „მთავარი იერიში ნაპოლეონს მიჰქონდა რუსების პოზიციების მარცხენა ფრთაზე, რომელიც ეჭირათ მეორე არმიის ჯარებს ბაგრატიონის მეთაურობით. როდესაც მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების მოწოლით მოწინააღმდეგეს პოზიციის ამათუიმ უბანს უთმობდნენ, აქ ბაგრატიონი ჩადგებოდა. მარტო ეს წარმოადგენდა მოწოდებას საგმირო საქმეებისაკენ. ახალი ძალით აღინთებოდა გამარჯვების ნებისყოფა, რომელიც მებრძოლთ უშიშრობის და საფრთხის დაურიდებლობას უნერგავდა. ხოლო როდესაც ბაგრატიონი მძიმედ დაიჭრა, მან ნება არ დართო, რომ იგი ბრძოლის ველიდან გაეყვანათ. სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას, სანამ გრძნობა არ დაჰკარგა".

ბაგრატიონი ბრძოლის ველიდან ეტლით გაიყვანეს და გოლიცინის მამულში (სოფ. სიმაში) მიიყვანეს, სადაც მას მალე ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო. 19 სექტემბერს საბუთების გარჩევისას მან ერთი მნიშვნელოვანი საბუთი იპოვნა, რომელიც გენერალ დოხტუროვისათვის უნდა გაეგზავნა. ბაგრატიონმა შიკრიკს დაუძახა: გასწი, ძმობილო, მოსკოვს.

შიკრიკმა არ იცოდა, რომ ბაგრატიონს მოსკოვის დატოვებას უმალავდნენ, ამიტომ უპასუხა, რომ იგი ფრანგებს უკავიათო. ბაგრატიონს ტკივილები დაავიწყდა, ზეზე წამოვარდა, მაგრამ მაშინვე უგრძნობლად დაეცა, მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. რამდენიმე დღეს გაგრძელდა აგონია და 1812 წლის 24 სექტემბერს ბაგრატიონი გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ 1812 წლის სამამულო ომში სახელგანთქმულ ქართველ პეტრე ბაგრატიონის გარდა ბევრი სხვა ქართველიც იღებდა მონაწილეობას და თავგანწირვით იბრძოდნენ. ესენი იყვნენ: გენერლები სპირიდონ და ივანე ჯავახიშვილები, ლევან იაშვილი, ძმები ივანე და სიმონ ფანჩულიძეები, ივანე ბიბილური, განთქმული ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, პოლკოვნიკი რევაზ ბაგრატიონი (პეტრეს ძმა) და სხვ.

ბოროდინოს ბრძოლის გმირი და კეთილშობილი რაინდი პეტრე ბაგრატიონი დიდი სიყვარულით არის ასახული რუსულ მხატვრულ ლიტერატურასა და ფოლკლორში. რუსულ ხალხურ სურათებში არის, მაგალითად, სუვოროვისა და ბაგრატიონის გამოსახულება (ისინი ცხენებზე სხედან პირისპირ). სურათის ქვეშ მიწერილია:

ჯერ კიდევ ჩემს დროს მეხსა ტყორცნიდი,
დაფნას იმკიდი შენ მამაცურად,
დიდებისაკენ მიისწრაფოდი
და აგირჩიე მე ჩემს მეგობრად.

ლექსის შემდგომი ნაწილი ბაგრატიონს მოუწოდებს გახდეს სუვოროვის მემკვიდრე.

„ბოგ-რატი-ონ", მხედრობის ღმერთიაო, ამბობს რუსი ხალხი ამ შესანიშნავ მხედართმთავარზე, რომელიც განსახიერება იყო გასაოცარი ვაჟკაცობისა, უმაგალითო სიმამაცისა, კეთილშობილებისა და სამშობლოსადმი თავდადებისა.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პეტრე ბაგრატიონი ყველაზე უფრო მაღლა აყენებდა სამშობლოს დამოუკიდებლობასა და გარეშე მტრებისაგან მისი თავდაცვისათვის ბრძოლას. ამ მაღალ ადამიანურ იდეალს შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე. ასეთი იყო დიდი მხედართმთავრის სახელოვანი ცხოვრება.

1812 წლიდან 130 წლის გასვლის შემდეგ ახალი დამპყრობნი — პირსისხლიანი ჰიტლერის ურდოები შემოიჭრნენ დასავლეთიდან ჩვენს ქვეყანაში. ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა 1812 წელს ბოროდინოსთან დიდი ბრძოლები გადაიტანეს და ნაპოლეონის ოდესღაც „უდიდესი და უძლეველი" არმიის უბადრუკმა ნაშთებმა ძლივს გააღწიეს რუსეთიდან.

1941 წელს წითელმა არმიამ ბოროდინოს ველზე ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ფაშისტ ბარბაროსებს, რომ ხალხი, რომელმაც იცის, თუ რისთვის იბრძვის, უძლეველია, რომ ხალხი, რომელსაც ისეთი გმირები ჰყავს, როგორიც არიან წითელი არმიის მებრძოლები, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან დიდ წინაპართა—ალექსანდრე ნეველის, სუვოროვის, კუტუზოვის, ბაგრატიონის მამაცური სახით, მიმდინარე დიდ სამამულო ომში ჭეშმარიტად გაიმარჯვებს.

შ. ჯვინიაძე

„პეტრე, ქართველთა ხარ დიდებაო"

ბოროდინოს ბრძოლების სახელგანთქმული გმირისა და რაინდის პეტრე ბაგრატიონის ცხოვრება და ბრძოლები ფართოდ არის ასახული რუსულ და ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. იმ პერიოდის პოეტი და გმირის თანამოგვარე დიმიტრი ბაგრატიონი ასეთი სიტყვებით მიმართავს სახელოვან სარდალს:

„მეც აღმძრეს შენთა სამკობლად,
ჩრდილოელთ მოშაირეთა,
ომ გარდახდილსა გიქებენ,
სიმხნეთა გასაკვირვეთა,
არარად რაცხდი ლომ-გული,
რაზმთა მეპირისპირეთა,
აწ, ამად ძლევის გვირგვინი,
თავს გადგას უგმირგმირეთა".

პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ პოეტ პეტრე ლარაძისთან (1837 წ.) ერთად გადმოაქართულა პოეტ ნიკოლოზ ახვერდოვის რუსულად დაწერილი ლექსი „პეტრე ბაგრატიონის გარდაცვალებაზე" (იხ. ალ. ჭავჭავაძე: ი. გრიშაშვილის პუბლიკაცია, გვ. 147-149). პოეტის სიტყვით, ვინც ბაგრატიონის გმირობას გაიგებს,

„მყისვე შეძრწის დიდების მიმართ ფრთეთა,
და შეიქმნების თვითაც ნამდვილი გმირი".

პოეტი სწუხს დიდი სარდლის უდროო დაღუპვას და ამბობს, რომ მისი საქმე და მაგალითი არის „ფრიად საქები და სადიდებელი".

„თვალთაგან ჩვენთა საუკუნოდ იფარა,
გარნა ნაცვლად დაგვშთა მისი სახელი,
დაგვშთა ათასი საქმე და მაგალითი,
მამულისადმი მსახურებისა მისის
ფრიად საქები, ფრიად სადიდებელი".

სუვოროვის ამ გამოცდილ და ნიჭიერ მოწაფეს მაშინაც არ დაუხევია უკან, როდესაც მტერი რიცხობრივად სჭარბობდა. 1805 წელს სოფელ შენგრაბენთან ბაგრატიონის 6-ათასიანი რაზმი გაუმკლავდა და უკუაგდო ფრანგების 30-ათასიანი ჯარი. ამის გამო დიმიტრი ბაგრატიონი სწერს:

„მცირითა ჰსძლია მრავალთა,
მიიღო სიმხნით დიდება,
იძახდნენ: „სჯობსო განლტოლვა,
ბაგრატოვანის რიდება".

ჯერ კიდევ 1799 წელს ბაგრატიონმა სუვოროვთან ერთად გადაიარა ევროპის ველები და ქალაქები. პოეტ ბეგლარ ორბელიანის სიტყვით:

„პირიელთა დასცა სისხლის ფონები,
გასწყვიტა მამაცურად ძალის მოიმკდარი".

1799 წელს დაიწყო სუვოროვის ცნობილი ლაშქრობა იტალიის ალპებში. ავანგარდში გამუდმებით იმყოფებოდა პეტრე ბაგრატიონი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით რუსებმა აიღეს „ეშმაკის ხიდი". „პეტრე ბაგრატიონი დიახ კარგად გაისარჯა, დიდი სიმხნითა და ძლიერებით ამ ადგილებიდან გამოვიდა სუვოროვი", — ამბობს მწერალი ვარლამ ერისთავი (ბიძა გიორგი ერისთავისა, გარდაიცვალა 1830 წელს).

საინტერესოა ბაგრატიონისადმი მიძღვნილი უცნობი ქართველი პოეტის ლექსი, შემონახული საქართველოს მუზეუმის ხელთნაწერებში (იხ. წ. კ. ფონდი, № 1534, გვ. 50), რომელიც დაწერილია ბაგრატიონის გარდაცვალებამდე.

პეტრე ბაგრატიონს

პეტრე, ქართველთა ხარ დიდებაო,
სახსოვრად დავსდგა შენი ქებაო,
სოლომონივით ძლიერი ლომი,
მარსის ველზედა ამაყად მდგომი.
სუვოროვისა მხნისა შემდგომი,
ვინ გვისახელა ჩვენ თავისი ტომი.
შეგამკო, სულსა მივსცე შვებაო,
პეტრე, ქართველთა დღეს დიდებაო,
სახსოვრად დავსდვა შენი ქებაო.
ალექსანდრე რა დიდმა ინება,
ამაყ ფრანცუზთა სისხლის დინება;
თქვა: „უმაღლესად დავსცე შინება,
ჩემთა მხედართა უყო ჩინება,
ჩვენს ღვთისა ხვდა ლხინებაო.
პეტრე, ქართველთა ხარ დიდებაო,
სახსოვრად დასდვა შენი ქებაო.

ქართველი მებრძოლების სახელოვანი ეპოპეა 1812 წლის სამამულო ომში პეტრე ბაგრატიონით არ ამოიწურება. ამ ომში ასამდე ქართველი იღებდა მონაწილეობას. მართალია, მათ არ მიუღწევიათ ბაგრატიონის ხარისხამდე, მაგრამ თავისი როლი შეასრულეს სახელოვანი ომის ამა თუ იმ უბანზე.

დოც. ტრ. რუხაძე

ჰიტლერელთა რასიული ბნელეთისმოციქულობის ახალი ნაყოფი

ჰიტლერელთა ხელმძღვანელობის საიდუმლო ცირკულარი საოკუპაციო ხელისუფალთა პოლიტიკის შესახებ ჩრდილოეთში

სტოკჰოლმი, 22 სექტემბერი (საკდესი). როგორც გამოირკვა, ამა წლის ივლისში გერმანელ ხელისუფლებს ნორვეგიის, დანიის, ჰოლანდიისა და ბელგიის ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაეგზავნათ საიდუმლო ცირკულარი შემდეგი სათაურით — „რასიული პოლიტიკის ძირითადი გზა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების ოკუპირებულ სივრცეში". ეს ცირკულარი, რომელსაც ხელს აწერენ ჰიტლერის პირადი მოადგილე მარტინ ბორმანი და ალფრედ როზენბერგი, როგორც პარტიის საგარეო პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, ახალ გზებს იძლევა ეგრეთწოდებული „რასიული ჰიტლერული პოლიტიკის" გატარებაში „ნორდული რასის" ხალხებით დასახლებული ევროპის ჩრდილო ოლქების მიმართ.

ცირკულარში ნათქვამია, რომ „გერმანული რასის შიგნით წარმოშობილმა წინააღმდეგობამ დამპყრობთა და დამარცხებულთა შორის ახალი მომენტი შეიტანა რასიულ პოლიტიკაში ჩრდილოეთში, რაც მოითხოვს იმ პროგრამის ხელახალ ორიენტაციას, რომელიც წინათ იყო დეკლარირებული გერმანიის იმპერიის ხელმძღვანელების მიერ". შემდეგ აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთის ხალხები არ შეიძლება „სრულუფლებიან არიელებად" ჩაითვალონ, ვინაიდან ისინი განიცდიდნენ გერმანული სამეფოს საზღვრებზე გაბატონებული რასიული ქაოსის ისეთი სხვადასხვა პროდუქტების გამხრწნელ ზეგავლენას, როგორიც არიან: ფინელ-მონგოლები, სლავები, კელტ-გალები, ანგლო-საქსები". „ჯანსაღი არიული ბირთვის" ერთადერთი წარმომადგენლები არიან გერმანელები, რომლებიც ცენტრალურ გერმანიაში მოსახლეობენ. „ნორდული რასის" დანარჩენმა წარმომადგენლებმა — ნორვეგიელებმა, შვედებმა, დანიელებმა, ჰოლანდიელებმა, ფლამანდიელებმა და სხვებმა — ვერ გამოიჩინეს უნარი წინააღმდეგობა გაეწიათ „თავიანთი რასიული დონის დაცემისათვის", და მაშასადამე, ვერც თავისი სახელმწიფოებრივი და სოციალური სისტემის დაცემისათვის".

ამის შესაბამისად, ნათქვამია შემდეგ ცირკულარში, გერმანელ საოკუპაციო ხელისუფალთ ჩრდილოეთში რწმუნება ეძლევათ:

1. ჩრდილოეთის დაკავებული ტერიტორიების სახელმწიფო მმართველობის დარგში გამორიცხულ იქნას პოლიტიკური მოღვაწეობა, როგორც „ჭეშმარიტი გერმანელის პრეროგატივა", „შერეული და უძლური ნაციონალური ელემენტების" კომპეტენციიდან და „გაერთიანდეს იგი იმ პირთა ხელში, რომლებიც უნაკლონი არიან რასიული მხრით და სისხლით არიან დაკავშირებულნი გერმანიასთან".
2. მიღებულ იქნას „ყველა საჭირო ღონისძიება, რასაც გვკარნახებს გერმანიის სამეურნეო, შრომითი და სამხედრო პოლიტიკის აქტუალური ინტერესები და ყოველი სამუშაოს შესრულებაში ჩაბმულ იქნას ჩრდილოეთის რასის წარმომადგენელთა ყოველგვარი რიცხვი, ამასთან ანგარიშში არ გაეწიოს რასიული პოლიტიკის არავითარ სხვა მოსაზრებას, გარდა ამ ცირკულარში აღნიშნულისა".

დასასრულ ცირკულარში აღნიშნულია, რომ წინათ გამოცხადებული „პრინციპები რასიული პოლიტიკისა" ჩრდილოეთის გერმანული ხალხების მიმართ „ჰქმნიდნენ" ერთის მხრივ სკანდინაველი და სხვა ხალხებისა და მეორე მხრივ გერმანელი დამპყრობლების „რასიული თანაბარფასოვნობის მავნე ილუზიებს".

ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ ახალი გაძლიერება ტერორისა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთის ქვეყნებში პირდაპირ არის დაკავშირებული ჰიტლერული ხელმძღვანელობის ზემოთ მოყვანილ „ცირკულართან".

ჰიტლერელ ბნელეთისმოციქულთა რასიული ბოდვა

ჟენევა, 23 სექტემბერი (საკდესი). ჰიტლერული გაზეთები სავსეა სტატიებით, სადაც ცამდე აჰყავთ გერმანული რასის უპირატესობა სხვა ხალხთა წინაშე, რომლებსაც, ჰიტლერელი კაციჭამიების აზრით, დამოუკიდებელი არსებობის უფლება არა აქვთ. გულმოდგინე პროპაგანდას ეწევიან ჰიტლერელთა „სახელმძღვანელო დებულებებისას", რომლებიც გადმოცემულია საიდუმლო ცირკულარში სათაურით „რასიული პოლიტიკის ძირითადი გზა ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვების ოკუპირებულ სივრცეებში" (როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეს ცირკულარი მიმდინარე წლის ივნისში დაეგზავნათ გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებს ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, დანიასა და ბელგიაში). ამ ცირკულარის სულისკვეთებით გამსჭვალული რასიული ბოდვის ნიმუშს წარმოადგენს ჰიტლერულ გაზეთ „ჰამბურგერ ფრემდენბლატში" მოთავსებული სტატია, რომელშიც ნათქვამია: „ახლა ევროპის სფერო გერმანული სულისკვეთებით ემორჩილება. ნორვეგიელებს ან ჰოლანდიელებს შეეძლოთ აჯანყდნენ, მაგრამ ამ ფაქტს ვერ შესცვლიან. მათ ამარცხებს ეს კანონი. ევროპის მომავალი სახე გამორიცხავს მცირე ხალხთა განსაკუთრებული სურვილების აღიარებას. მთელ ევროპას გერმანია უნდა ხელმძღვანელობდეს".

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ჰოლანდიაზე

ლონდონი, 23 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 22 სექტემბერს ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს სამრეწველო ობიექტებზე ლილ-ლანსის რაიონში. შემჩნეულია, რომ ბომბები მოხვდა მაზინგარბის ძალსადგურს.

ბომბდამშენთა მეორე შენაერთი თავს დაესხა ეიმეიდენის მეტალურგიულ ქარხანას. ბომბები მიზანს მოხვდა, ბევრგან ხანძარი გაჩნდა.

ინგლისის ჯარები ტანანარივეში შევიდნენ

ლონდონი, 23 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს ინგლისის ჯარები მადაგასკარის დედაქალაქ ტანანარივეში შევიდნენ.

გერმანიის შპიონაჟი ჩრდილოეთ ირლანდიაში

ლონდონი, 23 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ივნინგ სტანდარტის" კორესპონდენტი იუწყება, რომ ოლსტერში (ჩრდილოეთი ირლანდია) გერმანიის ჯაშუშთა ქსელი არსებობს. ეირეს საზღვრით ჩრდილოეთ გერმანიაში გადადიან ჰიტლერელთა აგენტები, რაც ხელს უწყობს შპიონაჟის გაძლიერებას. შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ბევრ იმ პირთაგან, რომლებიც ამერიკის სამხედრო ბანაკებს ახლოს გამოჩნდებიან ხოლმე, კავშირი ჰქონდა გერმანიის მისიასთან დუბლინში. ორმა ამერიკელმა გენერალმა და ბევრმა ოფიცერმა განუცხადა კორესპონდენტს, რომ გერმანელები ცნობებს ჰკრეფენ ჩრდილოეთ ირლანდიაში ამერიკის ჯარების დისლოკაციის შესახებ. შპიონაჟის წინააღმდეგ ბრძოლას ის აძნელებს, რომ არ შეიძლება კონტრდაზვერვის მოქმედების გავრცელება ეირეზე, რომელიც ნეიტრალიტეტს იცავს.

ინდოეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომა

ლონდონი, 23 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ 22 სექტემბერს დელიში შესდგა ინდოეთის სახელმწიფო საბჭოს (ინდოეთის საკანონმდებლო ორგანოს მეორე პალატა — შესდგება 58 წევრისაგან, რომელთაგან 32 არჩეულია, ხოლო 26 დანიშნული) პირველი სხდომა.

კამათი გახსნა მეფის ნაცვალთან არსებული აღმასრულებელი საბჭოს წევრმა მოჰამედ უსმანმა. მან დაახასიათა ინდოეთის საშინაო მდგომარეობა და განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს პოლიციასა და ჯარებს დიდი სიძნელეები შეხვდათ.

შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო საბჭოს წევრებმა პატრომ, დალალმა და საპრუმ. დალალმა თავის გამოსვლაში მხარი დაუჭირა ნაციონალური მთავრობის შექმნის მოთხოვნას და განაცხადა, რომ ეს სტიმულს მისცემდა ინდოეთის სამხედრო ღონისძიებებს. საჭიროა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა, სთქვა მან, რათა გამონახულ იქნას გამოსავალი იმ პოლიტიკური ჩიხიდან, რომელიც ინდოეთში შეიქმნა. საპრუმ გააკრიტიკა მთავრობის პოზიცია და განაცხადა, რომ „მთავრობასა და ხალხს შორის უფსკრული სულ უფრო და უფრო ფართოვდება".

იუგოსლაველ პარტიზანთა აქტიური მოქმედება

ჟენევა, 23 სექტემბერი (საკდესი). იუგოსლავიის პარტიზანული არმიის შტაბი იუწყება, რომ უკანასკნელი კვირის განმავლობაში გერმანელების, იტალიელებისა და უსტაშების ნაწილებმა რამდენიმე სექტორში დაიწყეს შეტევითი მოქმედება პარტიზანთა პოზიციების წინააღმდეგ. პარტიზანებმა მამაცურად მოიგერიეს მტრის იერიშები. ფაშისტთა ავიაცია პარტიზანთა პოზიციებისა და ზურგის დაბომბვას განაგრძობს.

ბოსანსკი გრაჰოვთან კრაინის პარტიზანთა რაზმებმა სასტიკად დაამარცხეს იტალიელთა კოლონები, რომლებიც ცდილობდნენ წინ წაწეულიყვნენ ქალაქ დრვარის მიმართულებით. იტალიელთა სამხედრო ეშელონში, რომელიც პარტიზანებმა ხელთ იგდეს ოგულინ-სპლიტის რკინიგზაზე, სხვა სამხედრო მასალასთან ერთად 250 ათასზე მეტი ვაზნა იყო. ერთმა პარტიზანულმა რაზმმა ქალაქ მოსტარში ცეცხლი წაუკიდა მტრის 300 კასრ ბენზინს.

მთელ რიგ უბნებზე პარტიზანული ნაწილები სასტიკ ბრძოლებს ეწევიან იტალიელ-გერმანელ ოკუპანტებთან და უსტაშებთან. განსაკუთრებით გაფართოებული ბრძოლები სწარმოებს იმოტსკის რაიონში და კუპრესის მახლობლად.

ბანია ლუკას ოლქში დიდი ბრძოლაა, რომელშიც ორივე მხრიდან მონაწილეობას იღებს დიდძალი ჯარი. პარტიზანთა რამდენიმე რაზმმა, რომლებიც აღნიშნულ სექტორში იბრძვიან, გერმანელთა ნაწილები დაამარცხა.

იტალიური ჟურნალი საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 23 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ციურიხიდან გადმოგვცემს, რომ იტალიური ოფიციალური ჟურნალი „რელაციონი ინტერნაციონალი", ეხება რა ვიშის მთავრობისა და გერმანიის თანამშრომლობას, სწერს: ეს არის „მანევრი, რომ ჰქონდეთ იტალიის წინააღმდეგ მოქმედების თავისუფლება". ჟურნალი დასძენს: „საფრანგეთ-იტალიის თანამშრომლობა ლიტონი სიტყვაა. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი კვლავ მტრულად არის განწყობილი იტალიისადმი. მთავრობის წრეებში არავითარი ცდა არ არის ხელი შეუშალონ ამ სიძულვილს იტალიის მიმართ, ვინაიდან ამ სიძულვილს ოფიციალური წრეებიც კი სავსებით იზიარებენ. ვიშის ერთ-ერთი მიზანია მოტყუებით შეუშალოს ხელი იტალიის იმედების განხორციელებას".

რუმინული გაზეთები გლეხებს ურჩევენ სულ აიღონ ხელი პურზე

სტამბოლი, 23 სექტემბერი (საკდესი). ამ უკანასკნელ დღეებში რუმინული გაზეთები ბეჭდავენ სტატიებს, რომლებშიც ნათქვამია: რუმინეთი მხოლოდ იმ პირობით შესძლებს თავისი ადგილი დაიკავოს ჰიტლერულ „ევროპის ახალ წესრიგში", თუ მისი სოფლის მეურნეობა იმის წარმოებას უზრუნველჰყოფს, რაც გერმანიას ესაჭიროება. გაზეთი „არგუსი" სწერს, რომ გერმანიაში სიმინდი სასურსათო პროდუქტი არ არის, და რუმინელ გლეხებს ურჩევს გააფართოონ მარცვლეულის, კერძოდ ხორბლის ნათესები. გაზეთი „კურენტული" ურჩევს რუმინელ გლეხებს მომჭირნეობით ხარჯონ მარცვლეული და სულ აიღონ ხელი პურის მოხმარებაზე, სიმინდით შესცვალონ იგი. ამავე დროს გაზეთი აღიარებს, წელს სიმინდის მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა და ამიტომ სიმინდი ერთიხუთად გაძვირდა.

რუმინული გაზეთების ცნობით, გლეხები საბოტაჟს უწევენ მატყლის ჩაბარებას, რომელიც, როგორც ცნობილია, გერმანიაში გასატანად უნდათ.

გერმანელი ოკუპანტები იუგოსლავიის ეკონომიკას ანადგურებენ

სტამბოლი, 22 სექტემბერი (საკდესი). იუგოსლავიის ეკონომიკა სავსებით მოშლილია. ქარხნებით მუშაობენ მხოლოდ ის საწარმოები, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან გერმანიის სამხედრო მრეწველობის საჭიროებას. საფეიქრო მრეწველობა ფაქტიურად უკვე აღარ არსებობს. ბევრი საფეიქრო საწარმოს მოწყობილობა გერმანიაშია გაზიდული. ასეთივე ბედი ეწია სამკერვალო, ბამბეულის, ტყავეულის, კვების, მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგების მრეწველობას. გერმანელები იმას ამჯობინებენ, რომ ნედლეულის სახით გაზიდონ გერმანიაში და იქ დაამუშაონ ლითონი, მადანი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

ჰიტლერული „დონაუ ცაიტუნგი" იუწყებოდა, რომ ხორვატიაში „ქვანახშირის მწვავე ნაკლებობაა", რის გამო პაველიჩის ხელისუფლნი იძულებული არიან შეაჩერონ ბევრი „არარენტაბელური" საწარმოს მუშაობა. ხორვატიის ვაჭრობის სამინისტრომ ბრძანება გამოსცა, რომ „დაუყოვნებლივ შესწყდეს ყველა სამშენებლო სამუშაო". ყველა დაწყებული მშენებლობა დაკონსერვებულია. ბრძანება იმან გამოიწვია, რომ გერმანელებმა მოითხოვეს გერმანიას მიაწოდონ მთელი სამშენებლო მასალა.

იუგოსლავიის მრეწველობის დაცემა მნიშვნელოვან წილად იმითაც აიხსნება, რომ გერმანელებმა სერბიისა და ხორვატიის შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი გერმანიაში გარეკეს სამუშაოდ. 70 ათასამდე ხორვატი მუშა გერმანიის საწარმოებში მუშაობს. მუშახელის მწვავე ნაკლებობის გამო, [illegible] დამდგარი პაველიჩი იძულებული გახდა სპეციალური დეკრეტი გამოეცა საპატიმროებიდან სისხლის სამართლის დამნაშავეთა განთავისუფლების შესახებ.

ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელი მრეწველობის დიდად შემცირებამ შედეგად ის მოჰყვა, რომ ბაზარზე სრულიად გაქრა ფართო მოხმარების საქონელი. იუგოსლავიის მოსახლეობა ფეხშიშველი და ტანშიშველი დადის. მოსახლეობა უკვე დიდი ხანია აღარა ხმარობს ტყავის ფეხსაცმელს.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ბოლშევიკურად შევასრულოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი

კოლმეურნეები ჩაებნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში

სამამულო ომის დღეებში თბილისის რაიონის ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები (თავმჯდომარე ლ. თურმანიძე) დაუღალავად შრომობენ ფრონტისათვის მეტი პურის, ხორცის, ბოსტნეულისა და სხვ. მისაწოდებლად. წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრების საფუძველზე კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა-თესვა, მოსავლის აღება და სხვა სამუშაოები. 23 სექტემბერს კოლმეურნეები, გაეცნენ რა ალტაის მხარის სმოლენსკოეს რაიონის კოლმეურნეების, ტრაქტორისტებისა და კომბაინერების მიმართვას საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნისა, ტრაქტორისტისა და კომბაინერისადმი, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი, ახალი ძალით ერთსულოვნად დაირაზმნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის აღსანიშნავად დამატებითი ვალდებულებათა აღებისა და ვადამდე შესრულებისათვის.

კოლმეურნეობის ბრიგადირებმა: დ. გელენიძემ, ქ. ბარამიძემ, ლ. კაკაურიძემ, ა. ჩარგეიშვილმა, რგოლების ხელმძღვანელებმა შ. ჯიქიამ, ს. ბეკმახიანმა და სხვ. აიღეს ახალი დამატებითი ვალდებულებანი, მთლიანად კოლმეურნეობამ კი იკისრა: საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის და მზრალად ხვნის გეგმები 10 ჰექტარის გადამეტებით შეასრულოს 15 ოქტომბრისათვის, ე. ი. ვადაზე 5 დღით ადრე. ბოსტნეული ნაცვლად 48 ჰექტარისა ვადაზე 15 დღით ადრე (1 ნოემბრისათვის) დასთესოს 55 ჰექტარზე.

გარდა ამისა, კოლმეურნეობამ იკისრა ვადაზე 15 დღით ადრე 10 ტონის გადამეტებით შეასრულოს საქონლისათვის სილოსისა და წვნიანი საკვების მომზადების გეგმები, შეაკეთოს მეცხოველეობის ყველა ფერმის ბინები და წლის დასასრულისათვის გეგმის გადამეტებით იყოლიოს ფერმებში 32 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 32 ღორი და სხვ.

დამატებით აღებული ვალდებულების მიხედვით ავჭალის კოლმეურნეობას აგრეთვე გეგმის გადამეტებით შეაქვს ფართობებში 100 ტონა ნაკელი და ადრეული ბოსტნეულის მისაღებად დაწყებული აქვს 200 სათბურის მომზადება.

ტრ. თოდრაძე

ვიკისრეთ დამატებითი ვალდებულებანი

თბილისის რაიონის სოფ. სოღანლუღის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა შორის ერთსულოვანი მოწონება გამოიწვია ალტაის მხარის სმოლენსკოეს რაიონის კოლმეურნეთა, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მოწოდებამ საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნისა, ტრაქტორისტისა, კომბაინერისა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და დამატებითი ვალდებულებათა აღების შესახებ.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამ მოწოდების პასუხად დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის აღსანიშნავად კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრების დროშა და ვადამდე შევასრულოთ 1942 წლის ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, საზიზღარ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად კიდევ უფრო გავაძლიეროთ გმირი წითელი არმიისადმი დახმარება. ვკისრულობთ: ყველა საშემოდგომო კულტურის და მათ შორის ბოსტნეულის—პომიდორის, სუფრის ჭარხლის, კომბოსტოს და სხვ. მოსავლის აღება დავამთავროთ ვადაზე 10 დღით ადრე. თავთავიანი კულტურები და ბოსტნეული დავთესოთ ვადაზე 15 დღით ადრე, ესე იგი 15 ოქტომბრისათვის გეგმაზე 50 ჰექტარის გადამეტებით, სულ 360 ჰექტარზე. მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 ტონისა მიმდინარე წლის შემოდგომაზე ფართობებში გავიტანოთ 2.000 ტონა ნაკელი. წელსვე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარისა მზრალად მოვხნათ 300-მდე ჰექტარი. 15 ოქტომბრამდე დავამთავროთ მეცხვარეობის, მეღორეობის და სხვა ფერმების ბინების შეკეთება. ვადაზე 10 დღით ადრე ნაცვლად 600 ტონისა დავამზადოთ 700 ტონა სილოსი და წვნიანი საკვები.

გარდა ამისა, ჩვენი კოლმეურნეობა კისრულობს ფერმაში ღორების სულადობა გასულ წელთან შედარებით გაზარდოს 70 სულით, ხოლო მსხვილფეხა რქიანი საქონლისა—100 სულით, ძროხების ყოველდღიური წველადობა ახლანდელი 500 ლიტრიდან აიყვანოს 800 ლიტრამდე, ყველა სახელმწიფო ვალდებულება მთლიანად შეასრულოს ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავისათვის, ხოლო მტს-ისათვის ნატურსახლაურის ჩაბარება—5 ოქტომბრისათვის.

ბ. რურუა

თბილისის რაიონის სოღანლუღის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გეგმების შესრულება

წყალტუბოს რაიონმა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად ვადამდე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ჩაის კრეფა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანი **ტოგონიძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ნიჟარაძე**

* * *

აბაშის რაიონმა საქონლისათვის საკვების დასილოსების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დასილოსებულია 1.828 ტონა საკვები.

აბაშის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბოკერია**

* * *

წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ამხ. ვაჟარაძე) ვადამდე შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 511 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 510 ტონისა.

ლექციები

24 სექტემბერს, საღამოს 7 ს. 30 წ., „კომუნისტის" კომბინატის კლუბში (ლენინის ქ. № 28) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 11).

25 სექტემბერს, საღამოს 7 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის რაიაგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **ბურჭულაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი გამარჯვების საწინდარია".**

შესვლა თავისუფალია.

კონსულტაცია

24 სექტემბერს, საღამოს 7 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება პროფ. **ათაბეკოვის** კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და 26 კომ. სახ. — „ხიდი". **დამკვრელი** — „საბრძოლო კინოკრებული № 10". **კომკავშირელი და სპარტაკი** — „გიორგი სააკაძე". **ლუქსემბურგის სახ.** — „მეორე ქალი და მწყემსი". **მეცნიერება და ცოდნა** — „უკანასკნელი ღამე". **კომინტერნი** — „პატიმარნი".

აგიტსემინარი

25 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის აგიტპუნქტში** აგიტკოლექტივებისა და აგიტპუნქტების ხელმძღვანელთათვის შესდგება **სემინარი.** თემა: 1. ლენინი და სტალინი გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმის შესახებ; 2. ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაზე ომის დღეებში.

აგიტკოლექტივებისა და აგიტპუნქტების ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

თეატრებში

საოპერო — 25 სექტემბერს — „ჰოფმანის ზღაპრები". **რუსთაველის სახელობის** — 25 სექტემბერს — „მოსკოვის ბჭესთან". **მარჯანიშვილის სახელობის** — 25 სექტემბერს — „ინჟინერი სერგეევი". **გრიბოედოვის სახელობის** — 25 სექტემბერს — „ინჟინერი სერგეევი". **სომხური თეატრი** — 25 სექტემბერს — „შურისძიება". **ახუნდოვის სახელობის**—25 სექტემბერს — „გულშან ანა". **სანკულტურის** — 24 სექტემბერს — „გაგრძელება იქნება". **მუსიკალური კომედიის** — 25 სექტემბერს — „არშინ-მალ-ალან". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 25 სექტემბერს — „წითელქუდა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი

აცხადებს სტუდენტების მიღებას 1942-43 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმს აქვს ორი სექტორი — ქართული და რუსული ორი განყოფილებით.

1. ტოპოგრაფიული განყოფილება ამზადებს ა) ტექნიკოს-გეოდეზისტებს გეოდეზიური საფუძვლების შექმნის დარგში. ბ) ტექნიკოს-ტოპოგრაფებს აეროფოტო-ტოპოგრაფიულ სამუშაოთა საწარმოებლად.
2. საგზაო-სამშენებლო განყ. ამზადებს: საგზაო მშენებლობის და გზის ყოველგვარ საინჟინრო ნაგებობათა ტექნიკოსებს.

პირველ კურსზე მიიღებიან 15-დან 30-მდე წლის ასაკის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა (შვიდწლედი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები მიიღებიან მეორე კურსზე. განცხადება მიიღება 25 სექტემბრამდე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს. 1941 წლამდე კურსდამთავრებულთათვის გამოცდები დაიწყება 25 სექტემბრიდან და კონსულტაციები 15 სექტემბრიდან. სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადებები მიიღება დირექტორის სახელზე. ცნობების გაცემა და განცხადებების მიღება 9 საათიდან 17 საათამდე.

მისამართი: თბილისი, მარის ქ. № 27, ტელეფონი № 3—20—88.

231 **დირექცია**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის თანამშრომელთა ადგილკომი იუწყება რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ნიკოლოზ გიორგის-ძე ქუმსიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/IX, სოფ. ორხევში (თიანეთის რაიონი).

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი იუწყება საქ. სს რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ნიკო ქუმსიაშვილის

გარდაცვალებას.

საქ. მედდამზადება-მომარაგების სამკერვალო წარმოების თანამშრომლები იუწყებიან ამავე წარმოების თანამშრომლის ელენე მიქაძის მამის

ივანე როსტომის-ძე მიქაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IX, 6 ს. სასამართლოს ქ. № 19, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1197

26 კომ. სახ. რაიფინგანის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ფინგანის თანამშრომლის ტარიელ გურგენიძის შვილის

პატარა ელდარის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 23/IX, თბილისში. 1198

აბაშის საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან ხსენებული საავადმყოფოს დირექტორის ექიმ ალექსანდრე ნესტორის-ძე ფაღავას მეუღლის

თამარ ვასილის-ასულ ფაღავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/IX, დ. აბაშაში. 1200

რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ამავე განყოფილების ექიმ როდამ ქუმსიაშვილის მამის

ნიკო ქუმსიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/IX, ს. ორხევში (თიანეთის რაიონი). 243

მახარაძის რაიმიწგანის თანამშრომლები იუწყებიან ამავე მიწგანის გამგის შალვა ჭანუყვაძის შვილის

პატარა ცეზარის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/IX, სოფ. ცხემლისხიდში (მახარაძის რაიონი). 1192

თბილისის სადგურთან არსებული სამედიცინო პუნქტის მუშაკები იუწყებიან ამავე პუნქტის გამგის პლატონ სიხარულიძის დედის

პასიკო სიხარულიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში 24/IX. 1193

სადგ. ნავთლუღის ვაგზლის მეურნეობა იუწყება

მელქისე დავითის-ძე ხაბეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IX, 5 ს. დიდი აწყურის ქ. № 64, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1194

ა.-კ. ბერიას სახელობის რკინიგზების მშენებლობის საბაზისო სამასალო საწყობის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ანდრო ბარკალაიას სიმამრის

სილიონ ანტონის-ძე მარგველაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/IX, სოფ. საქარაში (ზესტაფონის რაიონი). 1196

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შე 9777